



HEIDELBERGCEMENT

[www.springalive.net](http://www.springalive.net)

## კონკურსი მასწავლებლებისთვის „რა არის სამოქალაქო მეცნიერება?“

1. კონკურსი ორგანიზებულია Birdlife International -ის მიერ.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც სკოლის, ასევე არაფორმალური განათლების პედაგოგებს რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით და ჩაერთვებიან პროექტში Spring Alive.
3. მონაწილეებმა უნდა განახორციელონ პროგრამა კლასებთან ნებისმიერი ფორმით (ვირტუალური ან საკლასო გაკვეთილები, პრეზენტაციები, გაკვეთილები ბუნებაში და აქტივობები) პროექტის 2022 წლის თემის გარშემო: „სამოქალაქო მეცნიერება ფრინველებისთვის“. აქტივობებში ჩართული უნდა იყოს მინიმუმ 10 მოსწავლე.
4. განაცხადის შეტანა:

ყოველმა მონაწილემ უნდა წარუდგინოს აღწერა ჩატარებული აქტივობების შესახებ ინგლისურ ენაზე; მასალები (მაგ. ბავშვების ნამუშევრები), SpringAlive -ის ადგილობრივ პარტნიორს (ამ შემთხვევაში საბუკო).

აღწერა წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულ ფორმატში, PDF ან Power Point ფაილით. მისაღებია ვიდეოც, სადაც ახსნით გაკვეთილების იდეას, ჩატარებულ აქტივობებს და შედეგებს. აქტივობები უნდა ემთხვეოდეს SpringAlive -ის თემატიკას და იყოს თვალსაჩინო. ფოტოები, ბავშვების ნამუშევრები, გაკვეთილის ზოგადი გეგმა და სხვა მასალა სასურველია თან ერთვოდეს აპლიკაციას.

თქვენს აპლიკაციას საბუკო გადაუგზავნის Birdlife International - ის გუნდს.
5. პროექტის ხანგრძლივობა - აქტივობების განხორციელების და განაცხადის შემოტანა შესაძლებელია 1 მარტიდან 21 ივნისამდე.
6. თითოეულმა მონაწილემ უნდა გააკეთოს მხოლოდ ერთი განაცხადი.



**HEIDELBERGCEMENT**

[www.springalive.net](http://www.springalive.net)

7. განმცხადებელმა უნდა დაურთოს შემდეგი დეტალები: სახელი, გვარი, საფოსტო მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, სკოლისა ან საგანმანათლებლო დაწესებულების სახელი და პოზიცია, რომელიც უკავია.
8. განაცხადის გაკეთებასთან ერთად ეთანხმებით პირობას, რომ თქვენი მოწოდებული დეტალები ხელმისაწვდომი იქნება Birdlife International - ისთვის.
9. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ იმ ორგანიზაციის თანამშრომლებს, რომლებიც ორგანიზებას უწევენ კამპანიას და მათ ოჯახის წევრებს.
10. ჟიური:
  - კაროლინა კალინოვსკა - SpringAlive -ის საერთაშორისო მენეჯერი.
  - შანა სპარგი - კონსერვაციული პარტნიორობის მენეჯერი, Stichting BirdLife Europe.
  - შერჩეული პირი ჰეიდელბერგცემენტის ოფისიდან.

ჟიურის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და არ ექვემდებარება კორესპონდენციას. ჟიური იტოვებს უფლებას, აირჩიოს დამატებითი ადამიანები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ ეს ჩაითვლება საჭიროებად.

11. პრიზები: 1 ადგილი - მიკროსკოპი, 2 ადგილი - ტელესკოპი; 3 და 4 ადგილი - ფრინველების სარკვევები. ორგანიზატორი უფლებას იტოვებს, საჭიროების შემთხვევაში აუნაზღაუროს ან შეცვალოს პრიზი იგივე საფასურის პრიზით.
12. შედეგები გამოქვეყნდება საიტზე: [www.springalive.net](http://www.springalive.net) 2022 წლის 31 ივლისისთვის. გამარჯვებულებს პრიზის შესახებ დაუკავშირდება პროექტის ადგილობრივი პარტნიორი.
13. საავტორო ლიცენზია: კონკურსში მონაწილეობასთან ერთად ეთანხმებით, რომ თქვენი შემოტანილი პრეზენტაციები შესაძლოა გამოქვეყნებული იყოს Birdlife International -ის მიერ.